



ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა

N 1073
01/06/2017

1073-03-4-201706011432



ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლების და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. 2017 წლის 02 ივნისს გამოცხადდეს კონკურსი ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსებ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე, თანახმად დანართისა.

2. კონკურსის ჩატარებისათვის აუცილებელი დონისძიებების გატარება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ.

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში დაინტერესებული მხარისთვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დუმბაძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა

№	თანამდებობა	რაოდენობა	შენიშვნა
1	ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში	1	
2	ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში	1	
3	ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში	1	
4	ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახაზინო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში	1	

